**ხელშეკრულება № 007**

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბოლნისი 26 თებერვალი 2019წ.

ერთის მხრივ, ააიპ ,,ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახური", შემდგომში -„შემსყიდველი", წარმოდგენილი დირექტორის როლანდ ფრუიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,მეტრი" შემდგომში - „მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის ზვიად თეთრუაშვილის სახით (ს/კ 425357311) სახით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

ხელშეკრულებაში გ ამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

**1.1.** ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში -„ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

**1.2.** „ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულება"- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

**1.3.** „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

**1.4.** „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

**1.5.** „მიმწოდებელი"- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

**1.6.** „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. **ხელშეკრულების საგანი**

**2.1.** ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ბოლნისის თ. სტეფანიას სტადიონზე სარეკლემო ბანერებისთვის ლითონის ჩარჩოების მოწყობის სამუშაოების შესყიდვა (CMR 45200000).

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

**3.1.** ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 4990 (ოთხი ათას ცხრაასოთხმოცდაათი) ლარს.

**3.2.** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

**3.3.** განფასება - დანართი N1.

**4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

**4.1.** შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი ან გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშკრულებაში გათვალისწინებულ პირობებთან.

**4.2.** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექ. საშუალებით და სხვა სამუშაო პირობებით.იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

**4.3.** მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა და წუნდებული სამუშაოს ხელმეორედ შესრულება

## 5. სამუშაოს მიწოდების ვადები

**5.1.** სამუშაოს დასრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 10 მარტამდე.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

**6.1.** მიმწოდებელი და შემსყიდველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ადასტურებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულებას.

**6.2.** შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა და სპორტული მოედნების მართვის სამსახურის დირექტორი.

## 7. ანგარიშსწორება

**7.1.** ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

**7.2.** შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან მოახდინოს ანგარიშსწორება 20 კალენდარული დღის ვადაში.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

**8.1.** ხელშეკრულებით ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1 % ოდენობით.

**8.2.** იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 %, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

**8.3.** შემსყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების განსაზღვრული გადახდის ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.01%-ის ოდენობით.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

**9.1.** ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

**9.2.** თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 10. ხელშეკრულების შეწყვეტა

**10.1.** წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

**10.2.** ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა.

**10.3.** შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

## 11. დავების გადაწყვეტა

**11.1.** ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

**12.1.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 13. დაუძლეველი ძალა

**14.1.** მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

**14.2.** თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

**14.3.** თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 14. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

**შემსყიდველი:**

ააიპ ბოლნისის მუნიციპალური სტადიონებისა
და სპორტული მოედნების მართვის სამსახური
მის.: ქ.ბოლნისი, წერეთლის ქ. N 1ა
საიდენტიფიკაცო კოდი:425359596
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში

**მიმწოდებელი:**

შპს ,,მეტრი“
მის. ბოლნისი, ს ს ორბელიანის ქ. #191
ს/კ 425357311
საბანკო რეკვი: სს ,,ზირაათ ბანკი საქართველო“
ბანკის კოდი: TCZBGE22
ანგარიშის ნომ: ა/ა:GE31ZB0200003605000216

Roland Phruidze
Digitally signed by Roland Phruidze
Date: 2019.02.26 11:04:55 +04'00'

Zviad Tetruashvili
Подписано цифровой подписью: Zviad Tetruashvili
Дата: 2019.02.26 17:14:32 +04'00'

Bolnisis municipal stadiums and other sports facilities management services
Digitally signed by Bolnisis municipal stadiums and other sports facilities management services
Date: 2019.02.26 11:05:55 +04'00'